

44-30

პარასკევი 1 იანვარი.

ფასი 10 კპ.

დათრასი



№ 1.

სალამური

ყოველ-კვირიანი იუმორ. ჟურნალი.



5683




ლიონგრაფია ს. ბიბოვისა.

ახალი წელი!

ნეტა ვინ არის
 ვგ საზარელი,
 წინ შამიანი რა უძღვის გველი?
 ნუ თუ ეს არის
 ახალი წელი!?
 ძღვლებსა რიყეთ
 გაშლია ველი,

ქვეწარმავალითა სპა ახლავს მივლი!
 ნუ თუ ეს არის
 ახალი წელი!?
 თვალი პირიოტი,
 სახე შავ-მწელი,
 თითქო მას უკვე სისხლში აწეს ხელი!
 განა ეს არის

ახალი წელი?
 ნუ თუ, შკითხველთა,
 შენ ამას ელი?
 ნუ თუ ეს არის
 ახალი წელი!
 მერმე, რა არის
 ან სასარგებლოს
 განა ვამბოვლი?



სახალწლო კუპლეტები.

წერა-კითხვის საზოგადოებას.

განზრახ კი მოიპიზებე
სილაჩრე მეტის მეტია,
თორემ: „მგლის შიშით ცხერის ფარა
აბა ვის გაუწყვეტია“.

დრამატიულ საზოგადოებას და დასს
ბრმათათვისაც აშკარაა
შენი სრული სივადლობა ..
„დედ-მამა ინახულე,
შვილი ისე გამოჩახე“.

არქეალოგიურ საზოგადოებას.

ნეტავი რასა შეადგენს
დღეს თქვენი ავლა-დიდება?;
ამბობენ „ქვასა მგორავსა
ხავსი არ მოეკიდება.“

სამეურნეო საზოგადოებას.

არ გაცოცხლდება ცხედარი
ვაი-ვუით და ვიშითა,
„არ გათეთრდება ყორანი
რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა“.

ტრამვაის საზოგადოებას.

მოუკირე მუხრუქები,
ამით ვითომ რა წახდება?
„კაი ქენი ქვას დადვი,
გაივლი და წინ დაგხვდება.“

კახეთის შეკენახეთა საზოგადოებას.

ვის სმენია „დახლიდრობა“
საქართველოს თავადისი?
„არა შეჯდა მწყერი ხესა
არა იყო გვარი მისი“.

მისალოცი ნაწყვეტები

(ქუთაისისათვის)

ქალაქის თავს.

ყოველსა ფრინველს განგებამ
თავისი მისცა გალობა:
ბულბული უსტვენს, ქოტი კენეს
ყვავს შვენის დაყვანჩალობა,
ქალაქის თავს კი არ არგებს
სხვის უკან მაჩანჩალობა.

ქუთათურ მასწავლებლებს.

დრო შეიცვალა... გახშირდენ
„საშევარდნო“ რაზმები,
მეტი რა გზაა, შენც შეხვალ,
ტრიკოით მოიკაზმები,
ტურნიკზე შეჭკრავ კამარას,
გადახვალ ყირაშალოსა,

მზრუნველის გულსაც მოიგებ
თუ თავს დაატან ძალასა.

ქალაქის კასას.

ვერავენ გადაახტება
ყიამეთ ბედის წერასა,
ქრონიკულ სიცილიერეს
ვერც შენ უშველი ვერასა.

ქუთათურ ექიმებს

ავთმყოფი რო მოკვდება,
შემდეგ ჩხვბი რალას არგებს?
ბარემ იმას შეეცადეთ
ვინ უფრო მეტს გააბარგებს.

„კოლხიდის“ ამხანაგობას.

ამბობენ, კრიზისშიაო
ქუთათურების „კოლხიდა“
რისთვის, ძმავ, »შეამავალსავეთ«
შენც გაკოტრება მოგინდა?

წ. კ. საზოგად. განყოფილებას.

ახალწლის პატივსაცემლათ
მხოლოდ ერთ რამეს შავნიშნავთ:
სინათლეს რისთვის გაურბით
და კრებას რატომ არ მართავთ?

სახალხო უნივერსიტეტს.

ახალშობილებს არ ეთქმის
არც ქება, არცა გინება
კარგია, მოძმეებსავეთ
შენც თუ არ დაგვიჩინება,

სახალწლო მისალმება.

(ბათუმისათვის)

ძველ წელმა სული დალია,
წავიდა შეჩვენებული
ბევრი ვაების დამთესი,
შავ-რაზმელთაგან ქებული!
უკვე სჩანს ახლის ნიშნებიც,—
ძველ გზას გაჰყვება წყვეული,—
ლხინს განარგძობენ მტერები,
ხალხზედა შემოსეული,
და ასეთ წელის მოლოცვას
მე არ გახლავართ ჩვეული...
მხოლოდ მცირე ლექსს ბათუმლებს
ვეტყვი მე მწირო, ეული...
თუმც ვიცი — ამით შეხტება
ზოგ-ზოგი გადარეული

სახალხო უნივერსიტეტს.

სძინავს მას ძილით დიდითა,
ვერც გაიღვიძებს მგონია,
სალათას ძილი მის ძილთან
არც არის მოსაგონია.
სახელსა დიდსა ატარებს
და ეს მას „საქმე“ ჰგონია!..

ტყვილათ სახელის ტარება,
აბა, რა მოსაწონია!..

ქალაქის საჯათმოფეთქოს.

შესძრა მის რევიზიამა
ბათუმის საბრძანებელი,
ბევრი დახარჯეს მელანი,
სიტყვებიც გრძელი, პრტყელ-პრტყელი...

იყო მუნ დიდი ფაფხური,
ბრძოლა მდგარი, ფიცხელი,
პარმენი დიდათ გაპბერეს,
კაცი მცირეა რომელი.
გათავდა ომი. მიწყნარდა
ბრძოლის ხმა, ცეცხლის მფრქვეველი
და კომისია გამოჩნდა.

არეულ საქმის მკვლეველი;
მოხსენებასა იმისას
მოელის გვაში ყოველი,
როდის გვასმენენ ამის კი
ვინაა გამომცნობელი?..

ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებას

„ქან-შინ-წილ-კან-გან-სანისა“
დაარსდა განყოფილება.

ურციხევი კომისიების
მან გამოჩეკა ინება;
კრება ხშირ-ხშირათ გამართეს,
კვლავ ხშირათ დაინიშნება,
მარა საქმის კი ჯერ თავად
არ იქნა გამოდინება...

ქალაქის თვითმართველობას.

ვთქვა. რომა „იმის კასაში
თავგები თავ-პირს იტვრევსა“—
ეს ხომ ყველასთვის ცხადია,
ვერავის გააკვირვებსა...
მაშ, ყური მიგდეთ და გეტყვით
ერთს რასმე ვასაცინელსა,
ამბობენ: თავსა ივანეს
კვანტს გაპკრავნო მცირესა;
ეს უდევთ თურმე ფარულათ
გულში ბათუმელ ბურჯებსა...
და არ გაკვირდეთ, თუ თავათ
გიორგი წამოსკუბდესა...

ნოფესიონალურ კავშირებს.

გარდაიცვალენ. იმათ სულს
ნეტარ ხსენება ცხონება...
და იმათ სამაგიეროთ
კამათლის ხშირად გორება;
ხუხვა კახური ღვინისა,
ყელს ტყვილათ მოფეფონება,
რომ გაპკრეს ფიქრი აწყოზე,
უფრო დაბნელდეს გონება...
და მერე ურთ-ერთ ყბებზედა
მაგრათ მუშტების მოდება.
და ამის შემდეგ— ღრილა,
კბილთა ხოქენა და გოდება...

კენტი.

საახალწლო კვლევები.

სახალხო შინაგონიტეტს.

ეს რატო მოხდა, ბოლო დროს
შენც მკედარს რო დაემსგავსე?
„თევზმა სთქვა: ვიტყვი, მაგრამა
პირი წყლითა მაქვს საყვო“.

სახალხო სახლის გამგებებს.

სახლი რო გახსნეს ხალხისთვის,
ეს კი არ არის ცუდიო,
მაგრამ რა, თუ კი, „თხის პატრონს
არ ხვდება თხისა კუდიო“.

ქართულ მუზეუმს.

თჳილისში სახლის აგება
არც ისე დაიბრყვოო,
„ქინკები გუდებს ბერავდენ
ღვინო კი არსად იყო“.

ანაშინის საჯათმოფეთქოს.

„მძიმე“ კონკურსი დანიშნეს
„მსუბუქი“ არა კმარაო,
„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“

ფონდებს.

მუზეუმმა დამაბარა

აგი მოსაკითხავიო:
„კარგი ჰაბა მეგულვოდი,
კარგი ჰაბა გიყავიო.“

კახეთის რკინის გზას.

ამდენი ხნისა კრუხობამ
ვიწრო გზა გამოჩეკაო;
„კაცი რო იხარჯებოდეს
ალარას არგებს ღრეკაო.“

სხალ „წრეს“.

„საკუთარ სახის“ მიღება
ძველი ყოფილა მოდაო:
„თავეს ბუმბულშია აწვენდენ,
სოროში მიძვრებოდაო“.

სხალქენის „მინისტრებს“.

(ს. გაჩეჩილაძეს, თოროზოვს და ჩ. დ.)

ანგარიშებს შეგვედრიან,
ნაცნობ და უცნობიაო,
თქვენ ყურსაც არ აპანტურებთ
კვერი გამოგცხობიაო
„გიჟი ქორწილში შეუშვებს:
ჩემს სახლს აქა სჯობიაო“.

მოქაიფე სტუდენტობას.

ვინც დაგინახავს იფიქრებს,
შეხედეთ თქვენ ამ სულელსო:
„თურაშაულის პატრონი
ტყეში დაეძებს კუნელსო.“

„მოსჯავს“

თვეში სულ ორჯერ გამოდიოდო,
„მწიფეს გესროდენ, მკვანე ცვიოდა“



კონსტიტუციის გაფრენა.

ცხოვრება კიბოს ნაბიჯით მიდის...
ჩვენც მოწიპე ვართ ამბების დიდის.
პაერში ფრენა ისე გაბზირდა,
რომ აქ იმაზე წერაც არ ღირდა,
თუ საგანგებო არ იყოს იგი,
რომელზეც ახლა მოვიდა რიგი.
ბაჰის და შამის ნაამბიარი,

კონსტიტუციის წვრილი ბაწარი
(რაც „ძირითადი“ კანონი არი!)
მესამე ღუმბამ სულ დააწვრილა
და ზეცისაკენ გაფრენას ცდილა.
მართლაც, ღვთის ქმნილი და ბოძებული
ზეცად მიილტვის ყოველი სული!
დღეს არა, ხვალ-ზევ გაგვიფრინდება,
„ჩვენი საუნჯე, ჩვენი დიდება!“.

უნდა დასცალოს ეგ პოზიცია!
მაგრამ არ უშვებს ოპოზიცია.
თუ კი რამ შესწევს ღონე და ძალი
იმის დაჭერას ცდილობს საწყალი.
მაგრამ როდემდის, როცა მნახველებს
გულზე დაჭლობილს უნახავს ხელებს?!? — კი.

მ ე ს მ ე რ უ ლ ი.

(სახალწლოთ ბათუმისთვის)

ახალი წელი გვეტუმრა,
გულა ქიანურითაო,
ძველი წელი განზე ვადგა
გულმოსული, შურითაო,
და მომავალს მიაძახა
კვებით და ფაფხურითაო:
ხომ კი იცი, რომ მოდიხარ
დაგიხვდები თუ რითაო!
— ტყვიებით და გაზეიული
თოკით, ჯალათურითაო,
მათრახით და შეჯლოგუნით,
წვრილი ხიშტ-შამფურითაო,
შესაფერი წყობილებით
და მისი მსახურითაო!..

სტუმარს გული მოუვიდა
ბებერის ფხაკურითაო,
სტაცა ხელი, ძველი წელი
დაითრია ყურითაო,
ააღლიტა უღვაშები
იმას აკმაკურითაო,
წამოჰკიდა ძველი ქურქი,
მისი თავსახურითაო,
შეაბრუნა და გააგდო
ცემით და პანდურითაო;
მიაძახა: დაიკარგე,
'შენი სამსახურითაო,
აპრუწუწუნი შენ საქმეს,
პრასა ნიახურითაო!..

* *

მუჯლოგუნსაც დაურჩება
ზოგჯერ თურმე გასავალი...
ძველ წელიწადს, რაკი მოხვდა
შესაფერი და მრავალი,
ჩყის მოკურცხლა... დაიკარგა
იმისი გზა და სავალი.
ახალი წელი დასკუბდა,
(ნახა ტახტი ასავალი)
და გამეფდა თორმეტი თვით...
სად, რა ქონდა წასავალი!
ჯერ იმას ვინ შეუმოწმა
შემოსავალ-გასავალი,
ან რა ვიცი, ამ თავიდან,
ისესხა, თუ გასცა ვალი?
ამას დაგვანახვებს, მხოლოდ,
ამ წლის ბოლო მომავალი.

* *

მანამდის კი ვნახოთ, ერთი,
რას გვირდება, რას გვიმზადებს?
წამოგვისევს იგი მტრებს, თუ
მოგცემს მოყვრებს გულითადებს?

(სადაც გული გულობს, იქ ხომ
ორიგ ხელით ქამენ ქადებს)
როგორც მითხრეს...—არ მალავსო,
ისო' თავის გულის ნადებს,—
რომ სიკეთით დაგვაფიწყებს
იმ შავდღიან წელიწადებს,
დაუმზადებს წყლულს მალამოს,
ზოგს წასასობს, ზოგს დასადებს,
და ქაზრაკულ ცხოვრების გზას,
გაშლის იგი, გაგვისადებს,
მთხოვნელებს და მახვეწარებს
არ დაუდებს გძელ გძელ ვადებს,
ბოროტებას სიკეთიდან
გააშორებს გააფარდებს,
ბევრს მიმალულ ბნელ საქმეებს
ახდის, თურმე, იგი ფარდებს
და მათრახით დასიყვებს
იმ ხარბ, ჩურჩუტ დელ იყანდებს,
რომლებიც, რომ უღვაშ გრებით,
ძლივს ხმარობენ ჩუმ ჩუმ ფანდებს
და გონებით ვერ გასცილდენ
ქაბეთიდან მისულ ყადებს.
(ვის აშინებს ქონდრასკაცი,
ვისთან ხმარობს ამ ქამანდებს,
მე არ ვიცი, თუ დასჭირდა,
თავს რა ქუდში, ან სად ჩადებს?)
ერთი სიტყვით, ამ სიკეთეს
გვირდებო, გვაძლევს რადებს
და ჩვენ რათ არ დავუჯეროთ
ამ წელს, ახლათ დანაზადებს?!

* *

მომაცოცხლა დანაპირმა,
გულს იმედი მეზადება,
მომღიმიარი მომავალი,
თითქოს მოდის, მეღანდება,
რა ხელი აქვს სევდას გულში?!?
პანჩური მას... და... გადგება!!!
სტვირი მინდა ახლა ხელში...
რა დროსია ტყვილა გდება?!
(ხშირ ხშირად თუ დავსვენე,
არ დაუკრავს, განაზღდება!)
აღარც შაირების მინდა,
სასხომინდლოთ გადადება,
მაშ, გაებრავ ამ ჩემ გულას,
ბერვით იგი არ წახდება.

* *

დაუკარ ჩემო ქამანჩა,
ამ განახლებების ეამისო,
დაუკარ შენებურათა,
დაჩვეული ვარ ამისო;
მინდა ბათუმის შექება,
ზღვის პირად დანადგამისო,
„პაპულნი სპორის“ დაკარგვით

ცეცხლზე ძმარ დანახამისო,
 ნახევარ კაპეიკზედა
 ვარყოფით დანაშხამისო,
 თავი პეტერბურგს გიახლა,
 ჯერ არ მომტანი რამისო,
 კუდი ბათუმში ყოფილა,
 გამგზავრებული მამისო.
 „უპრავა“ ორი პირია,—
 მჯდომელი ორი სკამისო,
 ორნივე მოსთქვამენ: ხარჯია,
 ფული კი არა სამისო
 და ჩვენ რა წყალში ჩავცვინდეთ,
 არ ვიცით, რა ვქნათ ამისო!
 „დუმა“, სასკოლო ხარჯების,
 შემსცირებელი ჯამისო
 დამჯდარა, იგლეჯს თმა და წვერს,
 სესხების შოენას ლამისო,
 „ბალნიცა“ საბუღალრო,
 ციებისა და ჟამისო,
 შეხვალ შიგ, თუ არ გაცივდი
 მადა გეკარგვის ქამისო.
 ბათუმის ქუჩის, ქრაქია,
 მანათობელი ლამისო;
 ქალაქის პედაგოგები,
 სულ სხვაა, სხვა ნაგრაამისო,
 რაც მათ აკლია, არ მისცა
 მათ ღმერთმა, ერთი დრამისო.
 კიდევ დაუკარ ქამანჩა,
 მსურს ქება ორი სამისო...

* *
 ამ სიცივეში ძნელია
 ასე კარდაკარ მსვლელობა,
 მარა რა გზაა, დავძლიე
 მე აგი უსაშველობა,
 მისთვის, რომ უნდა შევაქო
 პეტრიაშვილის ქველობა,
 მდივანი პედაგოგია,
 ქეც უყვარს აგი ხელობა,
 სოლორაშვილის კარგია,
 აზრი და შორს მხედველობა.
 ვაჭარი ლომინაძისა
 „დუმაში“ ჩუმ-მეტყველობა,
 პარმენის, ღმერთმა გითაოს,
 პური და ღვინის ძველობა;
 ვინ ბრძანა, ან ვინ შესწამა
 იმ „ერთ“ ბანოვანს გველობა!
 ან ხუცებს, თავის დაგვართო,
 ვინ დაუწუნა ღვდელიობა?
 მესხი არის და თან შეფერს
 „უპრავის“ საძირკველობა,
 ამ რედაქციის ვინ ნახა
 ნეტავი, პირუთენელობა,
 და ძველი რედაქციისა

მიდგომა, ან მოიქცნელობა!
 აქ, თუმცა, ბევრის მაწუხებს,
 ამ დილეს უნახველობა,
 რომ მექო მათი სიმშლილი
 და ფულის შემნახველობა,
 მარა რალა, რომ ამ გუდას,
 აუჩნდა ყელში ხვრელობა
 და ნელა-ნელა იჩუტვის, ...
 შეურცხვა ნაქართველობა!

ა. ბლიკვაძე.

სახალწლო მილოცვები.

(ფოთისათვის)

ღრამატიულ საზოგადოებას.

გლახა დროში დაიბადე
 არ შეგიწყო არვინ ხელი,
 ნორჩი ხარ და თავისთავად
 ქირთან ბრძოლა ვერ შესძელი.
 ახალ წელსა ძილით შეხვდი,
 ძილში განვლე ძველი წელი,
 განისვენე!.. სულთათანას
 გეტყვი თუ კი შევიძელი.

განმანათ. საზოგად.

გამარჯვება!.. სასურველო,
 ვხარობ შენსა დაარსებას.
 სიყვარულით შემოგცქერი
 და მოგიძღვნი ქებათ ქებას.
 შენ მიზნათ ეს დაგისახავს
 შეებრძოლო ამ დროებას,
 მიმოფანტო გარს სიბნელე,
 და გზა მისცე განათლებას.
 თუმც ნორჩი ხარ, ვით ჩვილი ყრმა
 ნელ ნელ იწყებ ფეხის ადგმას,
 მაგრამ მრწამს, რომ აასრულებ
 შენს იდეალს, შენს წრფელ აღთქმას.

ნ. ნიკოლაძეს.

ჩემი ლოცვა არ გქირია
 არც შექება გეამება,
 გეტყვი ისე, როგორც ნასწავლს და
 შეგნებულს გეკადრება:
 რომ იყავი, ის აღარ ხარ,
 რაც იცოდი გარდივიწყე,
 სიქაბუკის განზრახვები,
 დამარხე და დაამიწყე,
 უკურნებელ სენმა გძლია,
 და დაუშვი ძირს ალაში,
 დაიღუბა, გაპარტახდა
 მძლავრი აზრი და კალამი!
 და მე, რადგან კვლავ იმისა
 აღდგინებას არ მოველი,
 არ ვიცი რა მოგილოცო:
 ახალი, თუ ძველი წელი.

ო ხ ს ს.

ბიოგრაფიის წერისა
ნიტიც შეგწევს შესაფერი,
დარბაისელ კაცთ გცნობენ
და ბევრიც გყავთ მადლიერი,
მაგრამ ქალაქისა „მამას“
სულ ცოტა გყავს კმაყოფილი,
ვინაიდან თქვენ არ გწვდება
ჩაგრულთ კენესა და ტირილი.

ტლინკაძე.

საახალწლო მილოცვები

(სამტრედის რაიონისათვის)

ახალი წელი მოვიდა,
კარები დამიკაკუნა,
მე პოლიცია მეგონა,
კინაღამ შიშმა გამლუნა.
ავდექი, მივესალამე,
გავანდე ქვეყნის ამბავი,
ახლა-კი თქვენთვის მჭირია
მცირედი მოსალოცავი.

დუბოს მუშებს.

არ ვიცი თქვენში ვინაა
იმით მიუხდომელი,
რომ „კაცს თუ“ ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისოფელი“;
თქვენ კი გვერდს უხვევთ ცოდნასა,
ღვინით ხართ განუძღომელი.

მასწავლებლებს.

„უწვრთნელი ძაღლის ყოლა სჯობს
უწვრთნელი შვილის ყოლასა“,
თქვენ კი? სთქვით სულის წინაშე,
კარგათ პატრონობთ სკოლასა?!

ანტიკვინტებს.

„უძრავსა ქვასა, ხო იცით,
გარს ხავსი მოეკადება“?
კარტი და წინარი შეიქნა
თქვენი ცხოვრების დიდება ..

გლეხებს.

ჩვენი ცხოვრების ბურჯი ხართ,
პარაზიტების მკვებავი,
გწიწკნიან დაუზოგავათ
შენ მწარეთ გმინავ ბეჩავი,
ნეტავ როდმდის იქნები
ამ რიგათ გაუბედავი?

მღვდლებს.

ქრისტე ამბობდა: „ორი გაქვს,
ერთი სხვას გაუყავიო“.
თქვენ კი? არ დარჩა დარბი,
რომ არ შეგეძროთ ტყავიო“!

ვაჭრებს.

„პატიოსანი ვაჭრობა“!!
ეს ხომ სახლპარო რამეა!
თქვენ როგორ ვაჭრობთ ნეტავი
უწყვეტლივ, ღღე და ღამე???

„ქალაქის“ მამებს.

ხომ „აყუყუვით“ ეს დაბა,
აწ „აყორნება“ აკლია,
ორი სტრიქონით არ ითქმის
თქვენი ქება და ნაკლია.

ადგილობრივ წ. კ. ს. გამგეობას

ღმერთმა ქნას თქვენც არ შეგეკოდეს
„ბებია“ თქვენის ქეცია:
უხვათ მოგეწყოს სკოლები,
სამკითხველო და ლექცია.

სცენის მოყვარეთ.

გულით მინდა სასურველი
იყოს თქვენთვის ეს მილოცვა:
ღმერთმა ქნას, რომ არ განგეგრძოთ
კიბოსავით უკან ჩოჩვა!

სოფ მწერლებს და მამასახლისებს.

„ერთობა“ ჯერ ვერ ადგება
არ გაიტეხათ გულით:
„რასაცა შესჭამთ თქვენი,
რაც არა დაკარგულია“.

—ლი—კი.

საახალწლო სადარბაზო.

(სამეგრელოსათვის)

მოწყალეო ხელმწიფეო
რედაქტორო,
ჩემი გულის სასოებავე,
სულის სწორო!
რიგი იყო „საახალწლო“
დამეწერა,
მაქვს პატივი მოგაწოდო
ჰა, ესე რა.

1

სენაკიდან მსურს დავიწყო,
მოვიარო სამეგრელო,
პირველად თქვენ გესტუმრებით
ჩვენო სპირდონ „სმოტრიტელო“.
ემპაკისგან ბრძანება მაქვს,
თან უსტარიც თქვენზე მისი.
თავის გვერდით ადგილს გაძლევს,
თუ იქნება საკადრისი.
თქვენის „ძველი სამსახურით“
თვით სატანაც ყალბზე დგება,
ვოსტორკოვს რომ შეეყარეთ,
როცა ის მოაგონდება.
მისი ხელის ნაკურთხ ზურგსა
თქვენ დაპყდეთ გრძნობით ტუჩი...
(კედლებიც კი ათვალცრემლდენ
ამ ამბით გულ ანაყუჩი!!)

წელს მზრუნველმაც გინახულა,
და გესტუმრა ვიცი სწორეთ,
და სხვა ცერემონიებთან
იქნებ ხელზეც ეამბორეთ??
თუ კი, მაშინ ჯოჯოხეთში
რათ არ არის მასზე ცნობა?
თუ არა და... საწყენია,
მოვითმენთ, რა გაეწყობა!!

2

ჩავიაროთ ზუგდიდისკენ,
მინდა ერთი მღვდელი ვნახო,
სასოება მოვიკრიბო
და პირჯვარი გადვისახო.
ვსთხოვ, და იქნებ ერთ სკოლაში
მითავაზოს რამე „მესტო“.
„საწირავიც“ ხელით მიმაქვს,
(„ტაკ, რუბლელი დევიანესტა“.
უამისოთ „არ იმასიქს“,
კარგათ ვიცი მისი ჟინი:
ჯერ არის და „პრასადატელ“
მერე, დიდი ბლალაჩინი!

3

საქალაქო კლასსაც ვნახავ,
თუ ბატონს არ ეწყინება,
მაგრამ იგი რას გაიგებს
ახლა აღბათ ეძინება.
„იგი გააიმასქნესო“
ხალხში ამბათ ეფინება...
(ქარაგმული ამ სიტყვისთვის
ემშაკსაც გაეცინება.
და შკითხავს: თუ ოზურგეთში,
მწვრთნელნი სცემენ მოწაფეთო,
ზუგდიდს ნეტავ ეს პროცესი
რათ სწარმოებს პირ-აქეთო??)

4

ვშიშობ არ დამავიანდეს
სხვებთან მისვლა სადარბაზო,
(არ იქნება, ზოგი მაინც
ამ მისვლით არ გავაბრაზო!)
პირველად, თუ სხვათა შორის
მსურს ვიკითხო აშორდია...
— ძმაო თადა! შენს საყვარელ
ზუგდიდს რატომ განშორდია?
„ხერი“ თუ „ზარალია“
მითხარ შენთვის ეს მგზავრობა?!
ვაჰ თუ პატის აღარა გცემს,
აღარც ხალხი, არც მთავრობა!!
მაშინ... მაშინ ჩვენც მგოსანთან
შენზედა ვართ ამის მთქმელი,
„ზამთარს რიხით ვერ შეხვდები
სხვისი ქურქის წამომსხმელი!“


5

მე „გრაფების“ ქვეყნიდან ვარ
თავადებთან არ მაქვს საქმე,
მაგრამ ერთი გრანდ-თავადი
ვინახულო უნდა აქ მე.
უნდა ვკითხო: „ნა ნოვი გოდ
ჩტო პოდარილ მოურავებს?“
ისე ცხლა-ცხლაო რო გიძღვნიან
ერთგულები გლებთა ტყავებს?
ზოგი იმზომ დახელოვნდა,
რომ ტყავს ორკეც, სამკეც აძრობს
და ღმერთიც მათ სანეტაროთ
თქვენს სხივს ადრე არ ჩააქრობს.

6

დარბაზობით დაღლილი კვლავ
სენაკისკენ ვიზამ პირსა.
და გზა და გზა ვაქიპყინებ
საახალწლო ამ ჩემ სტვირსა.
მოვლიოდი ბნელი იყო,
მივდივარ და ისევ ბნელია:
აქეთ მელას ჩაეცინა,
იქით მგელმა ჩაახველა.
სეფ-ყორანის ხმა არ ისმის
ამ ყრუ ღამის სიბნელეში:
აღბათ სეფი სისხლით თვრება
და ყორანს კი აღრჩობს ლეში!
მისთვის აღარ ხმაურობენ,
რომ პირი აქეთ გატენილი,
მიტომ ზეცაც მღუმარვა
და ქვეშ მიწა მოწყენილი.
მე კი, მაინც გზას განვაგრძობ,
ღუმილს ვარღვევ ჩემი სტვირით.
ჩამოდექი, ნორჩო წელო,
შენი გამურული პირით!
ახალს შენგან არას ველი!!!
სიამედოს ჩემსას სძინავს,
მიწა დემონს დაუპყრია
პაერში კი ჯაღო ფრინავს.

ონისიმე.





„მღვთა“ თაყვანის-ცემა.

გურჯისტანს, ღარიბ ქალაქში,
 (როს მიიწურა ზაფხული,)
 ერთ მეწვრილმანე „ებრაელს“
 ებოვნა გამოკვებული.
 მას იქვე ბინა მოეწყო
 ღარიბათ ანაშენები,
 სამიოდ ვირი ებადა
 ოჯახის დამამშენები.
 ვაჭრობდა საწვრილმანოთი,
 როგორაც გაეწყობოდა,
 მას მრეწველობის „კრიზისი“
 დიდათ არ დაეტყობოდა.
 თავს ინახავდა ამ ტანჯვით,
 მარჩენალ ვირებს კვებავდა,
 ყოველგან უიმედობას
 და უსახრობას ხედავდა.
 მაგრამ განგებამ სიყრმითვე
 ის ბედის კვერით აპურა,
 დიდების სხივი აღლუთქვა,
 და კიდევ დაადასტურა...
 აღსრულდა წინასწარმეტყველთ.
 ნათქვამი, დანაწერავი,
 დიდების შუქით გაბრწყინდა
 ამ მეწვრილმანის კარავი.
 მას შეეძინა ქაბუკი,
 მამულის მხსნელი, მესია,
 იშვა ის ვირის ბავაში,

როგორც რიგი და წესია.
 „პარტიის კაცი“ უწოდეს,
 ლამაზ-ნორჩს, ახალშობილსა,
 და მამა თავზე ევლება
 მამულის მხსნელათ ხმობილსა.
 ესე ამბავი გაესმა
 გურჯისტანს ყოველ მხარესა,
 მოგვებმაც ნახეს ვარსკვლავი,
 მოსვლა არ დაიზარესა;
 გზად გამოეწყვენ, მოვიდენ
 მუხლები მოიყარესა,
 ზეცას შესთხოვეს წყალობა
 კრემლებიც ბევრი ღვარესა.
 უთხრეს: ებოძა დიდება
 ჩვენს ბეჩავს, კოდილ მზარესა,
 გაიზრდებ-დავატკაცდება
 შუქს დაუბნელებს მთვარესა.
 ჩვენ, კაცთა, თვალზე შეგვაშრობს
 გულ-მწველი კრემლის ღვარებსა
 აღამის მოდგმას დაიხსნის
 განატანჯ-განამწარებსა.
 მამაც არ ზოგავს შვილისთვის,
 არც თავს, არც თავის ვირებსა,
 ფიქრობს: „პარტიის კაცია“
 ქვეყანას გააკვირებსა!“

—კი.

(გ უ რ უ ლ ე ბ ს)

სასხალწლო საფეშქაშო.

მღვდლებს.

მამანო, ქრისტეს მსახურნო,
ხომ კი წაგვართვით ღრამაო,
მაშ ნულარწიწყინთ თუ ამას
მოყვეს ნამდვილი „ღრამა“.

შემაშუაქე თავადებს.

ცხრაას ხუთს „ძმები ვიყავით“,
ჩანს „ხათრი“ გაგვიწიეთო,
დღეს კი საძოვარ, საყანეს
ფასები აუწიეთო.

აზნაურებს.

კაცი უნდა ენა-ტკბილსა
ორიგ მხარეს იტურებდეს:
არც თავადებს აწყენინოს
არცა გლეხებს იმღურებდეს.

ზოგიერთ მასწავლებლებს,

„ვეი რა კარგი საჩინო
რა ავთ მივიმჩნიესო,
მაცხოვრებელი სოფლისა
წაწყმედათ მიიმჩნიესო“!
ბედაურები წაგვართვეს
სკოლა თქვენ მივითვისო.

გლეხებს.

დღევანდელი დღის სიმწვავე
თქვენ უფრო მოგესენება,
მაგრამ გამაგრდით, ჯერ კოცხლობს
ცხრაას ხუთი წლის ხსენება.

ზოგიერთ გლეხებს.

არას გარგებს მანასობა:
ხან ისე და ხანაც ასე
სჯობს რომ ერთ ღმერთს ემსახურო
ჩემო კარგო ათანასე.

ადგილობრივ სტრანჟებს.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ
ქვიშანი იქვე რჩებიან“.
მოვა დრო, თქვენნი საქმენიც
აშკარათ გამოჩნდებიან.

ოზურგეთს.

მომწვარო, გიყვარს ოცნება
და უცხო პრეტენზიები,
სკოლა არ გაქვს ან-ბანის
გსურს დასდგა გიმნაზიები.

ოზურ. ქალ. შამკებს.

კარგი მოგივა, კარგი თქვენ
ქალაქსა ყავდეთ პატრონი!
რა გამოდგება თქვენთაგან,
აპეკუნათ გყავთ პლატონი.

ინსპ. გორგ—ასლიქს და K ფ

„გორგ“ი, —მგელათ თარგმნება
დანარჩენი თითონ სცანით,
საბოლოოთ ისახელა
თავი „მუშტის ანაბანით“.

ლესოურლებს.

„კაცი უნდა პირდაპირი,
გაბედული ვით შურდული“!
სცემონ, ლანდლონ ხმა არ დასძრას,
ენას დასდოს ცხრა კლიტული.

ხიდისთაყს.

ძველათ თუ მუძღვებოდი,
დღეს უკან მისდევ ჩანჩურით,
საქმე აროდეს კეთდება
შაქი-ბუქით და ფაფხურით.

ღანჩხუთს.

აბა რა გითხრა დაბაო
ადგილო საარშიყოფო
ის ნუ იქნები რაცა ხარ,
ან წინათ რაცა იყავო.

ნიგოთაყს.

მებრალეები მეცოდვები
გურიისა განაპირო,
„მეზობლები“ მოგისიეს
გაიძვერა და უპირო.

აკეთ-აჩანას.

აკეთ-აკანავ, ნაქებო
ქოთნებითა და კეციოთო,
რა კარგი იყო, რომ თავი
მოგწონებოდა კაციოთო.

ჩაჩილასკა.

მილოცვები

რკ. გზ. მთავარ სახელოსნოსთვის.

მისალოცავათ მოვდივარ,
ხელში მიჭირავს სტერიია,
ახალი წელი მოგვადგა,
აქ რაა ვასაკვირია?
რიგ-რიგათ მოვინახულოთ,
თავს ვიდვათ ვასაქირია,
შეუფერებელ მილოცვით,
არა სთქვან ჩვენზე ძვირია.

ჩაღინგართა განყოფილებას.

გისურვებთ ახალ წელშიაც
ალარ მიგელოთ „ნულები“,
და ზეცას არ შესცქეროდეთ
კუტივით ფეხ-მორთხმულები.

მეკვაბეთა განყოფილებას.

შეშკარ, შეშედეთ ქვაბები
თვისებით ძვალ-მავარიი.
ერთისა ნაცვლათ მეორე
გვენახოს ფეხზე მდვარიი,
არ გაგვეგონოს აწ მაინც:
„დღეს არა, დღეს ავღარიი.“

სამშენებლო განყოფილებას.

რომ ერთხელ მაინც გვენახოს,
თქვენი ალი და კვალია.
რასა ვავს თქვენი ნიშნები,
ნახეთ, გააღეთ თვალია,
„სახედისწერო დამბაჩას“,
ნუ დაუსვლეთ ფალია.

სახარტო განყოფილებას.

უკუ, სელა, უკან დახევა,
კიბოთა დამამშვენია,
(კუროპატკინიც იქმოდა,
როს შავი ედგა ღდენია.)
მაგრამ თქვენ ჯერე რა გიქირთ...
თავისა შესარცხვენია?

ჩამომსხმელთა განყოფილებას

რომ გამოცანა აგეხსნათ,
განთავისუფლდეთ მახისგან;
ერთმა გზამ თუ ვერ გიმელოს,
შემოუარეთ სხვა მხრისგან.
გასახარისათ იქმოდეთ,
ღმერთმა დაგფაროთ ზრახვისგან!

გაგონის განყოფილებას.

რომ აზრთა სალოროსთვის
თვით ააშენოთ „ვაგონი“.
არ ისაქიროთ ღლიდან,
უძღურობისა «ფლაკონი»
სხვების იმედით ცხოვრება;
დროა დაიგმოს აწ მგონი...

სამღებრო განყოფილებას.

არ შეგაშინოს სიმცირემ
არ გაგიტეხოს გულია.
უნაყოფო ცდა უარყავით,
იქ სთესეთ, სადა ხნულია.
ამოურეთ საღებავს,
შეღებეთ შეთითხნულია.

„სტაჯიარის“ განყოფილებას.

გულმავიწყობა იქმარეთ
გახსოვდეთ ესე თქმულება.
„გადაგვარების მომსურნე,
დაიწყევ დაიკრულება.
ეგ არის ჩემი თქვენდამი,
კეთილი განზრახულება.

კანტარის მოსამსახურეებს.

ის ორი ღერი ანბანი
აწ მაინც მოიხმარეთა,
სულ ჩაკტილში ჩაჯდომი?...
გამოიხედეთ გარეთა.
მტერი მტრათ იცან, მოყვარე
იგულვე კვლავ მოყვარეთა.
ალ. ზაგლობა

ხონის კუპლესები.

სემინარიას.
უმადლესი ცოდნის პატრონს
გაუფრთხილდით მასწავლებელს
პენსიონერ ღმრამევესკებს
ნუ შეუშვებთ ვაგლახათ ხელს
ქაღთა გემნაზიას.

გისურვებ არ ყოფილიყო
შემდგეშიაც სხვისი კული,
მასწავლებელი გეშოვოს
მათეს გარდა ერთი ხუთი.

თუკრს.
არ მიკვირს რო ძლივსა ბეჭუტავ
ხონელების შვილი ხარო,
არ მგონია მომავალშიც
გაცოცხლდე და გაიხარო.

საკითხეკლას.

ნეტავ რისთვის არ გწყალობენ
ხონის ვაქრუკანებიო?
ხონურათ რალ შეგებრუნდენ
აგარიდეს თვალეზიო?

ადგილ. წ. კ. განყოფილებას.
იქ მკვლრებს აკლიხარ დათვლისას,
აქ ცოცხლებს თვალში ედები,
გუშინ წინ გამონაჩეკი
ასე უეცრათ ბერდები?

ერთ ვინმეს.
მძიმე-მძიმეთ დაბრძანდებით,
ერთ ტარტილუფ მუხმუხედა,
საქრთამეთი დაალაღე,
დაგვიხარკე თითქმის ყველა.

ივანეს.
საით წავიდა, ბატონო,
თქვენი „ქელეზნი დაროლა“?
ავტომობილი რას შევება,
იმანაც ხო არ ჩაროგა?

მამასხდის მუბუკეს.
გავიგეთ, რომ შეგვინია
ძალა კულა მათრახისა,
მაშ იცოდე, თაყ-ჩალმართიც
წინ მძლოლია აღმართისა.

ვიცე კუშაკი.

ს ა ა ხ ა ლ შ ლ ო კ შ უ ლ ე ბ ე ბ ი.

„მომავალ ს.“
გარემე და მეზობელნი
გიმზადებენ, ძმაო მახეს.
„მგელი ისე არ მოკვდება,
რომ თხის დასამარხი გახდეს.“

„დროუბას.“
„სოციალიზმი“ ხანდის-ხან
ნეტავ სად გაგიფრინდება?
„მშენიერი ხარ ხობო,
ბრლო რო გამოგჩინდება.“

„საქართველოს მოამბეს.“
შენსა რედაქტორს „დრამები“
რატომ არ დაეღინება?
„თუ მასპინძელი არ მღერის
სტუმრებსაც მოეწყინება.“

„სხივს.“
მხარი მიეცი, ნიკორავ,
და გაუწიე ნიშასა.
„ახალი ცოცხი კარგა გვის,
ძველი მოატანს ქვიშასა.“

„ფონ.“
რაქენა, ხო არ სდგამ გოდოლსა,
რო აურიე ენები?
„თუ თავი შენი თან გახლავს
ღარიბათ არ იხსენები“

„ნაკადულს.“
„პოსობიებით“ ერთ ღროში
გოთუაც ამაყობდით;
„კოჭლი რო ქოთანს ლოკავდა,
გადაბრუნდა და მოკვდაო“

„ჯეჯილის“
ამდენი ხანი მწვანე ხარ,
ველით შენს დაწიფებასა,
„ობოლი გაზრდას მოელის,
ღარიბი გამდიდრებასა.“

ინტერვიუ ეშმაკთან.

— რაჯ... რაჯ... რაჯ... კვალად მოისმა ჩემი ოთახის კარებზე.

— მობრძანდით! ვინა ხართ?..

— ადრე შელოდით არა? შემოილაპარაკა ახალ-მა წელში და შემოალო კარები.

— რასაკვირველია ადრე მოგველოდით... თუ კი მთელი ქვეყანა და ისიც განათლებული ქვეყანა უფრო ადრე გიხილავს, ჩვენ რაღა ვართ! ნაწყენი კილოთი მივუგე მე.

— რა ვქნა გენაცვალე! ჩვენ დროზე მოვდივართ, მაგრამ საზღვარზე გვაჩერებენ... აქ გაჩხრეკა საჭირო, აკრძალული არაფერი მიგქონდესო, იქ ხოლერისა გვეშინია და კარანტინია საჭირო, აქ კიდევ შენი შიროვნების შემოწმებას თხოულობენ და ვიდრე საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციას არ შევეკითხებით, მანამდე შენი გაშვება არ შეიძლება. ერთი სიტყვით, აღარ ვიცი, რომელი ერთი ჩამოგითვალო.

— შენც შეგემთხვა ყოველივე ესა? რას ამბობ ყმაწვილო, ეს შეიძლება უწინ იყო, ვიდრე 17 ოქტომბრის მანიფესტით თავისუფლება მოგვენიჭებოდა.

— კარგია ერთი თუ ღმერთი გწამს! რის თავისუფლებას! საზღვარზე გაჩხრეკის დროს ჩემი პროგრამიდან ყველაზე უწინ თავისუფლება ამოაგლიჯეს და დახიეს.

— ამოაგლიჯეს თავისი ნებით? თუ ეს მართალია, მაგის შესახებ შეკითხვის შეტანა შეიძლება დღე-მეორე. ხომ იცი ჩვენ უკვე კონსტიტუცია გვაქვს და...

— რა ხუმრობის გუნებაზე ყოფილხართ!.. კონსტიტუცია, როგორც დაინახეს ჩემს რვეულში, მაშინვე ნაკუწ-ნაკუწ აქციეს. „ასეთი კონტრანდის შემოტანას აქ როგორა ბედავდიო“, ისე დამიღრიალეს, რომ შიშით გული კინაღამ შემიწუხდა.

— აჰა! მაშ იქ უზრდელათაც მოგვყარენ, არა?

— ჰმ! ახირებული კითხვაა!..

— სრულიადაც არა! პოლიციას ნაბრძანები აქვს, უზრდელათა არავის შეეხოს. ის დრო წავიდა, ძველათ რო იყო.

— აი, თუ წავიდა, დამხედე!

— ღმერთო ჩემო! რამ დაგილოურჯა ეგ სახე?

— პიროვნების ხელუხლებლობამ. ხელით რომ შემებოდა, იქნებ არ დალოურჯებუდიყო, მაგრამ ის თოფის კონდახით შემებო... ეს ხომ არ არის აკრძალული.

— წარმიდგინეთ! მართლაც არსად არ წამიკითხავს: თოფის კონდახით ნუ შეეხებიო. უუუუერ ერთი იმ ეშმაკებს!..

— კარგი, რაც იყო, იყო. ხლა თქვენი ამბავი მითხართ, როგორა ხართ, როგორ არის პრესის საქმე, რას აპირობთ!

— ეეეჰ! ჩვენი ამბავი კითხვათაც აღარ ღირს. იმედი რომ არ გვასულდგმულვბდეს, ისევ თავის დახრჩობა აჯობებდა.

— ამბობენ, ბევრს იმედიც დაეკარგავო. მართალია?

— სამწუხაროდ! იმედი ბედნიერისთვისაც აუცილებელია, თორემ უბედური ხომ მარტო იმედებათ უნდა ცხოვრობდეს.

— ჟურნალ-გაზეთობის საქმე ხომ კარგათ მიდის?

— დიახ, კარგით, ჩინებულათ მიდის, მაგრამ უკან უკან და არა წინ!

— მკითხველი აკლია თუ რა?

— „მკითხველი“ ყავს ბევრი და საქმესაც ის ღუპავს. კვირეში ორჯერ მაინც მოაკითხავენ ხოლმე რედაქციას „შეკარა“ მკითხველები“ და „ფარულები“ ხომ დღიან-ღამიანათ გარს უტრიალებენ.

— აჰააა! მესმის. ჩემთან როგორ აპირობთ საქმის დაქერას?

— ჩვენ ყველაფერს იმედით ვუყურებთ. შენი იმედიცა გვაქვს. თუ გაგვიმართლებთ ამ იმედებს, ჩინებულათ დაგასაფლავებთ, (ჩვენ დასაფლავება კარგი ვიცი!) თუ არა და ნურას უკაცრავათ.

— რა გზა გაქვთ არჩეული?

— ჩვენ ერთი გზა გვაქვს, მაგრამ იმასაც სხვები არჩევენ ჩვენთვის. ეს გზა გახლავთ მეტეზისაკენ.

— არა, ნუ ხუმრობთ, მე ვაზნით გეკითხებით.

— ჰოო. ვაზნით ივლის ისევ ძველი გზით, თუ შევიძლებთ მუშაობას გაგაძლიერებთ, მაგრამ გზის შეცვლა ჯერ არ გაგვიზრახავს.

— მაშ ცხადია კმაყოფილი ხართ გასული წლის ნაღვაწ-ნაშრომით!

— სრულიადაც არა. ჩვენი შრომა სუსტი იყო, ამიტომაც შრომის გაძლიერება გვჭირია და არა გზის შეცვლა.

— მაინც, რას უფრო ეტანება თქვენი კალამი: „აღმა ფრინავს ოცნების სამთავროში“, როგორც პოეტები იტყვიან. თუ..

— არა და ათასჯერ არა!.. პირიქით ჩვენ ჯურღმულში დავძვრებით, იქ სადაც მუდმივ ბნელა და აქ სინელის მეოხებით აღამიანები თავიანთ ბნელ საქმეებს აწარმოებენ.

— არ მოგწყინდათ ეს ხელობა? ჯურღმულე-ბში ხომ ათასი საფრთხე მოგელისთ!

— რა გაეწყობა, უნდა შევეურიგდეთ ყოველივე გასაქირს...!

— გიმაღლის ვინმე ამ მწარე შრომას?

— ჩვენ აზრათაც არა გვაქვს ვისიმე მაღლობა დაემისახუროთ. და განა შეიძლება მხილებისათვის მაღლობა გვითხრან! არა, ამისი იმედი არა გვაქვს.

— მაშ ეს არის თქვენი გადაჭრილი, უკანასკნელი გადაწყვეტილება.

— პირველიცა და უკანასკნელიც.


— გამარჯვებას გისურვებ, მშვიდობით! მიმეჩქარება სხვებთან. მშვიდობით.


— მშვიდობით!

ის სწრაფათ მოტრიალდა და გავიდა.

საბრალო! განა მისი მდგომარეობა ჩვენსაზე უკეთესია?! ჩვენ არ ვიცით მაინც როდის მოგვიღებს ბოლოს ბედითი ცელი და იმას კი მხოლოთ ერთი წლის სიცოცხლე უწერია!

ეშმაკი.





გუზი და სკილი.

(წაუღნი პარკისთვის სტუმრებს)

ერთხელ, ბუბს სუხი წამოეწია...
 საზმართო ბანს ბეერი ეძია,
 მგრამ ვერ წახა.
 დააღო ხახა!

ბეერი იწვალა... წაერთო ღონე,
 არიენ სხანდა უმწეა გაზონე.
 ტყე გაიბრტყა,
 ყუფილი გაბი,

ფერი იცვლა მინდორს ბაღბაში,
 მოეს თეთრი ქული ჩამოეფარა,
 ზეცამ მოიბა გლოვის სულდარა
 და გაბრტყულია...

ბუბი უსწულდა!
 მსუსხავი ჭირი ფრთებს გლეჯს,
 ძელებს აბტერებს,
 ხან ზეცად აიქცე,

ხან მტვერში ათრევს.
 უთუოდ უნდა რამე იღონოს,
 ფიქრობს... არ იცის რა მოიკონოს!!
 მაგრამ დახედეთ უფლის განგებას!!
 ის ზრუნავს მისთვის ბინის აგებას!
 ბუზმა უეცრად სპილო იხილა,
 სთქვა: „იმის ყურში უთუოდ თფილა!“
 და შეძვრა კარგათ,
 მუნ დასაბარგათ.
 ბქე ეხალოვათა,
 მოიკალათა,
 ეამა ბინა
 და დაიძინა.

სამი თვის შემდეგ გამოეღვიძა!
 შეხედა, ტურფად
 ირთვება მიწა,
 ტყე იფურჩქნება,
 მინდორი ყვავის,
 გრილი ნიავიც სუსხავს არავის;
 მზე სხივებს აფრქვევს,
 ბულბული უსტვენს,
 ბუზს, სპილოს ყურში; გული არ უთმენს.
 ეძნელა მოცდა
 და გამოცოცდა.
 რაკი ბუნებამ მკერდი იქარგა,
 მასთან სხვაც ბევრი გამოიბარგა.
 ზოგმა მადლობა უთხრა მასპინძელს,
 მაგრამ ბზუილას
 ეს არ აძლევს ხელს,
 და რაკი მინდვრათ
 თავი იგულა,
 სპილოს ეკვეთა ჩვენი დიდგულა.
 —ჰა, შე უმსგავსო

და ულაზათო,
 რატომ ყურები არა გაქვს ფართო?
 ბედმა მომაგდო
 მე შენდა კარად
 სიცოცხლის საწყევ და გასამწარად.
 რას ვიფიქრებდი მაშინ ბედკრული
 თუ დამეხშოდა დიადი სული?
 კიდევ მებნელა და მევიწროვა,
 შემოგიყრია
 ბუზების გროვა!!!
 აქ არც ღებნაა, არც ლუქმა თფილი,
 აწ მინდვრათ მიჯობს შავი სიკვდილი!
 არც კა მიმადლი
 რო შენთან ვზივარ ..
 შენ მე უბრალო ვინმე გგონივარ?!
 სკდები, იკოდე,
 მე ზე-ბუზი ვარ!!!

სპილომ შეხედა და ჩაეცინა...
 ბუზის სირეგვენ სულ არ ეწყინა.

ეშმაკი.

მისალოცი ჭიათურას.

ბანკს.

გისურვებ, რომ სათაგვეთად
 აღარ გადაქცეულიყო
 და თავმჯდომარისა კულდათ
 თფილისს არ გაქცეულიყო.

თეატრს.

ღმერთსა ვსთხოვ რო არ გახრჩობდეს-
 გუნისა რეპერტუარი
 და არტისტებს არ მოსვლოდეთ
 კრიტიკაზე წყრომის ქარი.

წ. კ. ხაზ. განყოფილებას.

გექმბ სანთლით და საკმეველით
 ვერ გიპოვებ სადა ხარო?
 ხმა გაგვეცი თუ ღმერთი გწამს,
 თუმცა ვექვობ გავგახარო.

სახალ. უნავ, გამგეობას.

მაგრათ იყავ, იმოქმედე
 არ შეგემთხვას რამ საძრახი
 კიდევ არსად გამოგეკრას
 „ბოლო ქანქარას“ მათრახი.

საავათმყოფოს.

კვლავ გეკურნოს სნეულები,
 გაგექარვოს ხვედრი მწარე.
 თუ ექიმმა გვერდი გიქნას,
 საჩხერისა სძებნეთ მხარე.

ბერძნების სკოლას.

სული კბილით დაიჭირე,
 არ მოკვდე, არ მიიძინო...
 აწე მაინც არ გენახოს
 „უჩიტლისთვის“ ტიკით ღვინო.

მრეწველთა ბაუროს.

გვიპასუხე რისთვის ქრები
 გამრეკელის ბიუროვო?
 რათ ვერ ვშველის ან ფილიპე,
 ან მირიანის უროვო?

მუშების უმეტეობას.

„ალავერდი“ თქვენთანა ვარ
 გადაჰკარით ღვინის თასი...
 განათლება რა ბუზია?
 ბანქოს მოღუმატეთ ფასი.

ჩარჩ მოიჯარადრეებს.

არ გეზოგოთ კვლავ მუშები,
 გადაგეძროთ ასჯერ ტყავი,
 და ხელ ფასის მიცემის დროს
 გზა გენახოთ საპარსავი.

ქვის მწონელებს.

მუშას რო ქვას ააწაპნით,
 ვარს არ გეტყვის ვიცი გული,
 მაგრამ მაინც გაუხსენეთ
 ჭიათურის რგვალი „ნული“.

ეშმაკიშვილი.

შალიშადი

1910 წლისათვის

მ ი რ ა ე .

მიიღება ხელის მოწერა
უთველ-კვირულ იუმორისტულ ჟურნალზე



ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიფანს ავეის-
წყოს პირველ რიყსებში ჟურნალთან ერთად

პრემიათ გააბზავნება
ახალი პრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ღვეჭები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-
მოები და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუთილებლათ **შამოიტანონ პირველ**
ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა
შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახი და სალაშქარი“ გამოვა იმავე ში-
ნაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ:
ახიანი, ბლაკვაძე, განჯის-კანელი, კეჭაკი, ვაღდეძაძა, ზამქოთელი, თურდოს-
პარული, იასაძანი, კენტი, ღვინჯიანი, მალაქაშვილი, შატაია, ტ. რამიშვილი,
რუსაძე, რუშაგელი, ტუქსიშვილი, ფან-ტყეფა, ქუჩიშვილი, შხანკელა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესა: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“
Василию Карамановичу Болквалдзе.

